სახელმწიფო პროგრამა

# “აწარმოე საქართველოში”



# აწარმოე საქართველოში

- პროგრამის განხორციელების დაწყების თარიღი : 1 ივნისი, 2014
- პროგრამის კოორდინატორები:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

&

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- პროგრამის მიზანი: წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა

- პროგრამის მიმართულებები
  1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება
  2. ინდუსტრიული პროდუქტის წარმოება

- პროგრამის ბიუჯეტი სულ: 46 მლნ ლარი, *მათ შორის:*
  - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება - 30 მლნ ლარი
  - ინდუსტრიული პროდუქტის წარმოება - 16 მლნ ლარი

# პროგრამის მონაწილეები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

## მთავრობის ახალი ინიციატივა

## ბენეფიციარი მეწარმე

### მეწარმეობის განვითარების სააგენტო

- ფინანსური დახმარება
- ტექნიკური დახმარება

### საფინანსო ინსტიტუტები ბანკები

- დაკრედიტება

### სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

- ფინანსური დახმარება
- პროგრამული უზრუნველყოფა

### სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემა

### ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა
- საკონსულტაციო მომსახურება

# პროგრამის კომპონენტები (ინდუსტრიული)

**I. ფინანსური ხელშეწყობა**

- კრედიტის პროცენტის თანადაფინანსება პირველი ორი წლის განმავლობაში - 10%-ის მოცულობით
- გირაოს (collateral) დაზღვევა - კრედიტის მოცულობის არაუმეტეს 30%-ისა 2-4 წლის განმავლობაში

**II. ინფრასტრუქტური მხარდაჭერა**

- სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების გადაცემა უსასყიდლოდ (*იდენტიფიცირებულია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, მათ შორის, მიწა & შენობა-ნაგებობები)*
- შესაძლებელია აპლიკანტის მიერ იდენტიფიცირებული ქონების გადაცემაც

**III. საკონსულტაციო მომსახურება**

- საკონსულტაციო მომსახურება - ტრეინინგები (მარკეტინგი, გაყიდვები, ბიზნესის დაგეგმარება, საექსპორტო ბაზრების მოძიება, საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნები), სამეწარმეო უნარები, წარმოებაში ხარისხის მენეჯმენტის და ასევე, სხვა შესაბამისი სტანდარტების დანერგვა
- ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიება/ დანერგვის ხელშეწყობა

# პროგრამის მიმართულებები

## ინდუსტრიული მიმართულება

- სამშენებლო მასალების წარმოება
- რეზინისა და პლასტმასის წარმოება:
- ქაღალდის და მუყაოს წარმოება
- ფარმაცევტული წარმოება
- ხის გადამუშავება
- მანქანათმშენებლობა:
- ლითონის მზა ნაწარმი
- საფეიქრო წარმოება
- ქიმიური წარმოება:
- ელექტრო მოწყობილობების წარმოება,

# პროგრამის მიმართულებები

## სოფლის მეურნეობის მიმართულება

ბოსტნეულის , კენკროვანი კულტურების და მწვანილის მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა

ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, ციტრუსის გადამუშავება

კაკლის, თხილის, მიწის თხილის და სხვა კაკლოვნების გადამუშავება

მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ფერმა (მერძეული–მეხორცული)

მატყლის, ტყავის გადამუშავება

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზის საკვების საწარმო

დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავება

მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკა (მხოლოდ მეხორცული მიმართულების გამოსაზრდელი და სანაშენე დანიშნულების მქონე)

# პროგრამის აღწერა- ინდუსტრიული მიმართულება

- დაფინანსებული საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ✓ დაფინანსებული სესხით აუცილებელია შეიქმნას მხოლოდ ახალი საწარმო
  - ✓ საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნებს
- ფინანსური დახმარება:
  - ✓ სესხზე მოთხოვნილი გირაოს თანადაფინანსება სესხის 30%-ის მოცულობით, სესხის გაცემიდან პირველი 2-4 წლის განმავლობაში (არაუმეტეს 600 ათასი აშშ დოლარისა)
  - ✓ სესხის მოცულობა არ უნდა იყოს 150, 000 აშშ დოლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 2,000,000 აშშ დოლარს
  - ✓ სესხის მოცულობის არანაკლებ 80% განკუთვნილი უნდა იყოს ძირითადი საშუალებების შესაძენად
  - ✓ საშეღავათო პერიოდი: 24 თვე - ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილ სესხის ნაწილზე

    18 თვე - საბრუნავი საშუალებებისთვის განკუთვნილ სესხის ნაწილზე

| სესხის მოცულობა: | საბანკო განაკვეთი | თანადაფინანსება |
|---|---|---|
| 150 000 აშშ დოლარიდან - 500 000 აშშ დოლარამდე | 13% | 10% |
| 500 001 აშშ დოლარიდან - 1 000 000 აშშ დოლარამდე | 12% | 10% |
| 1 000 001 აშშ დოლარიდან - 2 000 000 აშშ დოლარამდე | 11% | 10% |

# პროგრამის აღწერა- სოფლის მეურნეობა

- დაფინანსებული საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
  - ✓ დაფინანსებული სესხით აუცილებელია შეიქმნას მხოლოდ ახალი საწარმო
  - ✓ საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარულ და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს მოთხოვნებს
- ფინანსური დახმარება:
  - ✓ სესხზე მოთხოვნილი გირაოს თანადაფინანსება სესხის 30%-ის მოცულობით, სესხის გაცემიდან პირველი 2-4 წლის განმავლობაში (არაუმეტეს 600 ათასი აშშ დოლარისა)
  - ✓ სესხის მოცულობა არ უნდა იყოს 600,000 აშშ დოლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 2,000,000 აშშ დოლარს.
  - ✓ სესხის მოცულობის არანაკლებ 80% განკუთვნილი უნდა იყოს ძირითადი საშუალებების შესაძენად
  - ✓ საშეღვათო პერიოდი: 24 თვე - ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილ სესხის ნაწილზე

    18 თვე - საბრუნავი საშუალებებისთვის განკუთვნილ სესხის ნაწილზე

| სესხის მოცულობა: | საბანკო განაკვეთი | თანადაფინანსება |
|---|---|---|
| 600 000 აშშ დოლარიდან - 1 000 000 აშშ დოლარამდე | 12% | 10% |
| 1 000 001 აშშ დოლარიდან - 2 000 000 აშშ დოლარამდე | 11% | 10% |

# პროგრამის აღწერა- ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

- უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემდეგი პირობებით:

ა) შემოთავაზებული პროფილის საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა;

ბ) საწარმოს შექმნისა და წარმოების დაწყების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ქ, თბილისში - შესაბამისი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ ექვსმაგი, ხოლო საქართველოს სხვა ტერიტორიაზე - არანაკლებ ოთხმაგი ოდენობის

- პროგრამის ბენეფიციარის სტატუსის მოსაპოვებლად, მეწარმე სუბიექტი წარადგენს შესაბამის განაცხადს და საინვესტიციო თანხის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიას რომლიც განისაზღვრება 30 (ოცდაათი) თვით.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფს:

- ✓ პირველ ეტაპზე, ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემის შემთხვევაში დაინტერესებული პირის მხრიდან შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერას;
- ✓ მეორე ეტაპზე, შესაბამისი პროფილის საწარმოს შექმნის, წარმოების დაწყებისა და შესაბამისი ინვესტიციის განხორციელების ვალდებულების შესრულებას.

- ერთსა და იმავე უძრავ ქონებაზე რამდენიმე პირის დაინტერესების წარდგენისას, უპირატესობა მიენიჭება იმ მეწარმე სუბიექტს, რომლის მიერაც შესაბამისი განაცხადი და საბანკო გარანტია წარდგენილ იქნა უფრო ადრე.

# პროგრამის აღწერა- საკონსულატაციო მომსახურება

- პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს ექნება საშუალება ისარგებლოს მიზნობრივი საკონსულტაციო მომსახურებით (technical assistance)

- საკონსულტაციო მომსახურების მოცულობა თითოეულ ბენეფიციარზე არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს

- საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი დახმარების უზრუნველყოფა :

  - ✓ უცხოური და ქართული ინოვაციების და ტექნოლოგიების მოძიებაში დახმარება
  - ✓ ხელშეწყობა ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაში
  - ✓ მარკეტინგი, გაყიდვები, ბიზნესის დაგეგმარების ტრეინინგები
  - ✓ საექსპორტო ბაზრების მოძიება, საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნები), სამეწარმეო უნარები, წარმოებაში ხარისხის მენეჯმენტის და ასევე, სხვა შესაბამისი სტანდარტების დანერგვა

- ცხელი ხაზის და მომსახურების ცენტრის შექმნა

# www.qartuli.ge



# მთავრობის ახალი ინიციატივა

აწარმოე საქართველოში

2014 წლის **1 ივნისიდან**

